განმარტებითი შენიშვნები

შპს „ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა" დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1998 წლის 14 მაისს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა 18

საიდენტიფიკაციო კოდი: 202937983

საზოგადოების დამფუძნებელია მამუკა მესხიშვილი, წილი-100%. დირექტორი-მამუკა მესხიშვილი.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

-ზოგადი საბაზისო და საშუალო განათლება.
-ასევე მცირე შემოსავალი აქვს შენობის იჯარიდან.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორი.

ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

-ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა – ელექტრონული ფორმა. კერძოდ, კომპიუტერული პროგრამა „ორის – ბუღალტერიის" მეშვეობით.

-საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის" შესაბამისად მოქმედი ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვე-ანგარიშები.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

– ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;

– საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმური დაგროვება);

– ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

– ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;

– ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

-საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან;

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

– შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;

– ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

–არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

– სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;

– დამატებითი ანალიზური აღრიცხვა დასაშვებია სხვა კომპიუტერული პროგრამებითაც.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

– მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

– 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

– კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

მოთხოვნების აღრიცხვა

– მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად;

ვალდებულებების აღრიცხვა

– ვალდებულებები საქონლის მომსახურების მომწოდებლების მიმართ: მეკავშირე საწარმოს, ურთიერთდამოკიდებული პირების, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აღირიცხება გამიჯნულად;

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

– საწარმოს კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და 254800 ლარს (ორას ორმოცდა თოთხმეტი ათას რვაას) ლარს შეადგენს;

– კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ" კანონით განსაზღვრული წესით.

ინვესტიციების აღრიცხვა

– მიმდინარე ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით;

– გრძელვადიანი ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით.

შემოსავლების აღრიცხვა

– შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

ხარჯების აღრიცხვა

– ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– ხარჯების აღრიცხვის შინაარსი – ფუნქციური დანიშნულებით.

ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

მოგება-ზარალი:

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

– დივიდენდების გასაცემად;

– საწარმოს რეინვესტირებისათვის;

– სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

-მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე.

-მუნიციპალიტეტისათვის დივიდენდის გაცემა (გაუნაწილებელი მოგების) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან.

მოგების გადასახადი:

– მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

დირექტორი

მამუკა მესხიშვილი:

GAHS

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	752358	57110	3694161
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	222811	4477	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	19775	0
მარაგები	43095	8346	86738
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	43095	8346	86738
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	3585
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	24	0	185
ძირითადი საშუალებები	5599441	14969245	4490006
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	6617729	15058953	8274675
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0

სავაჭრო ვალდებულებები	401575	4483928	23456
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	379629	539	0
საგადასახადო ვალდებულებები	60850	0	5248
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4085957	5482770	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1434918	0	2370903
სულ ვალდებულებები	6362929	9967237	2399607
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	8612	8611	8611
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-609871	4227046	5010398
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	856059	856059	856059
სულ საკუთარი კაპიტალი	254800	5091716	5875068
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6617729	15058953	8274675
სულ მოკლევადიანი აქტივები	1118264	89708	3784484
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1936493	4483928	23456

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
ნეტო ამონაგები	5431673	5358688
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	5431673	5358688
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	5431673	5358688
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	1054535
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1194658	-1988192
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-560795	-508925
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-352370	0
იჯარის ხარჯი	0	-93000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-150715	-1970830
სულ საოპერაციო ხარჯები	-2258538	-3506412
საოპერაციო მოგება	3173135	1852276

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-8010051	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-4836916	1852276
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-4836916	1852276

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-4836916	1852276
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5091716	5875068
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-2635628
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	254800	5091716

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	695248	-3637051
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	695248	-3637051
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	57110	3694161
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	752358	57110